

სს ინდუსტრიალ ფონდი

(ს/კ 200002914)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად საანგარიშო წლისათვის,

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

თბილისი 2024 წ.

სარჩევი

დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	6
ინდივიდუალური ანგარიშგება სრული შემოსავლის შესახებ.....	7
ინდივიდუალური ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ.....	8
ინდივიდუალურ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. მნიშვნელოვანი სადარიცხო შეფასებები და მსჯელობები.....	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	13
5. შემოსავალი.....	15
6. მომავალი საიჯარო გადასახდელები.....	15
7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები.....	15
8. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან.....	16
9. ფინანსური ხარჯი.....	16
10. ძირითადი საშუალებები.....	16
11. საინვესტიციო ქონება.....	17
12. მარაგები.....	17
13. საგაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	17
15. სააქციო კაპიტალი.....	17
16. საგაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	18
17. მიღებული ავანსები.....	18
18. პირობითი ვალდებულებები.....	18
19. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან.....	19
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	19
21. მნიშვნელოვანი სადარიცხო პოლიტიკები.....	19
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.....	19
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.....	20
საოპერაციო იჯარა.....	21
მოგების გადასახადი.....	21
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა.....	21
ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და სხვა აქტივების სასარგებლო-მომსახურების ვადები.....	21
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გადაფასება.....	21
ფინანსური აქტივების გაუფასურება.....	22
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება.....	22
სასამართლო დავები.....	22
ძირითადი საშუალებები.....	22
მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება.....	24
მარაგები.....	25
ანარიცხები.....	25
პირობითი აქტივები და ვალდებულებები.....	25
ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები.....	25
სესხები.....	27
საკუთარი კაპიტალი.....	27
დივიდენდები.....	27

სს ინდუსტრიალ ფოინთის ს/კ 200002914 ხელმძღვანელობას:

დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

„აუდიტ ლუქს სერვისი“-ს (ს/კ 400092760) მიერ (SARAS-F-844250 ; აუდიტორის ირინე დავრაშელიძე (პ/ნ 01001025692, სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-721631; <https://www.saras.gov.ge/>) ჩატარებულია სს ინდუსტრიალ ფოინთის ს/კ 200002914 თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აგრეთვე სრული შემოსავლისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სს ინდუსტრიალ ფოინთის ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ სს ინდუსტრიალ ფოინთის ს/კ 200002914 იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაში კომპანიის ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების აღრიცხვის სამართლიანი ღირებულების მოდელი. აქტივების ბოლო შეფასება ჩატარდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ აღნიშნული ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების

საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებითად არ განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მათი სამართლიანი ღირებულებისგან. შესაბამისად, ჩვენ განვსაზღვრეთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებასთან სხვა ელემენტებთან დაკავშირებით. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ფონდის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ,ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩინეთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ომპანიის უნარი,

გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება სააქციო საზოგადოება აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანსაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დირექტორი

გარიგების პარტნიორი
ირინე დავრაშელიძე



19 აპრილი 2024 წელი

სს ინდუსტრიულ ფონთი

ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1160620	1256081	1534765
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	67599	46560	24119
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	96627	40379	184459
მარაგები	358087	446552	244787
მზა პროდუქცია	7022	7022	7022
სხვა	351065	439530	237765
საინვესტიციო ქონება	459818	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5475	6037	6037
ძირითადი საშუალებები	249081	928802	1264036
სხვა გრძელვადიანი აქტივები	353152	0	0
<u>სულ აქტივები</u>	<u>2750459</u>	<u>2724411</u>	<u>3258203</u>
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	91212	155738	34054
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	773	6219	2569
საგადასახადო ვალდებულებები	59069	37384	190138
სხვა ვალდებულებები	131329	110496	73845
სულ ვალდებულებები	282383	309837	300606
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	308498	308498	308498
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-3786	-3786	-3786
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	764857	515266	1196236
გადაფასების რეზერვი	1398507	1398507	1456649
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	196089	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2468076	2414574	2957597
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>	<u>2750459</u>	<u>2724411</u>	<u>3258203</u>

გენერალური დირექტორი კობა მოსიძე 3/6 01029004849

სს ინდუსტრიალ ფოინთი

ინდივიდუალური ანგარიშგება სრული შემოსავლის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)
საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	1837261	1579452
მომსახურების გაწევიდან	1807561	1496452
სხვა	29700	83000
საერთო მოგება	1837261	1579452
დასაქმებულთა ანაზღაურება	-362147	-334626
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-302125	-324101
საპროცენტო შემოსავალი	51462	15964
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-365149	-382086
სულ საოპერაციო ხარჯები	-977959	-1024849
<u>საოპერაციო მოგება</u>	<u>859302</u>	<u>554603</u>
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-58902	-96571
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	55324	58148
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	855724	516180
მოგების გადასახადის ხარჯი	-90923	-971
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	764801	515209
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	764801	515209
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2414574	2957597
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-711299	-1000000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-90
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-58142
<u>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</u>	<u>2468076</u>	<u>2414574</u>

გენერალური დირექტორი კობა მოსიძე 3/5 01029004849

სს ინდუსტრიულ ფონითი

ინდივიდუალური ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2300134	186612
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2395595	-465296
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-95461	-278684
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში</u>	<u>1256081</u>	<u>1534765</u>
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</u>	<u>1160620</u>	<u>1256081</u>

გენერალური დირექტორი კობა მოსიძე 3/6 01029004849

სს ინდუსტრიალ ფოინთი

ინდივიდუალურ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საკუთარი კაპიტალი

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	308498	308498	308498
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-3786	-3786	-3786
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	764857	515266	1196236
გადაფასების რეზერვი	1398507	1398507	1456649
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	196089	0
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>	<u>2468076</u>	<u>2414574</u>	<u>2957597</u>

გენერალური დირექტორი კობა მოსიძე 3/5 01029004849

სს ინდუსტრიულ ფონთი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ინდუსტრიულ ფონთი ს/კ 200002914 არის სააქციო საზოგადოება, მარეგისტრირებული ორგანო: ნაძალადევის რ-ნის სასამართლო ; რეგისტრაციის ნომერი, 1/5-15; 30/08/1996 იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თ. ერისთავის ქუჩა, №32

სს ინდუსტრიულ ფონთი , ს/კ 200002914 სააქციო საზოგადოებას არ გააჩნია შვილობილი სააქციო საზოგადოება, ასევე არ ფლობს წილებს სხვა კომპანიებში.

მმართველობის ორგანო საერთო კრება სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე/წევრი: ილია ბედოიძე პ/ნ 01002020370 წევრი: ეკატერინე ცანავა პ/ნ 01010011028 წევრი: ნათია თავაძე პ/ნ 01011035768

გენერალური დირექტორი კობა მოსიძე პ/ნ 01029004849 ,
სს ინდუსტრიულ ფონთი , ს/კ 200002914 ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ქონების გაქირავება, საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, ლითონის დასამუშავებელი მოწყობილობების წარმოება
განთავსებული კაპიტალი - 308498 ლარი;

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონების და ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფებისა, რომლებიც მოცემულია გადაფასებული ღირებულებით.

რადგან 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს სსბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა საინვესტიციო ქონების და ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფებისა, რომლებიც მოცემულია გადაფასებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემულ საადრისცხო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, სს ინდუსტრიულ ფონთი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო

შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სს ინდუსტრიულ ფონითი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

სს ინდუსტრიულ ფონითი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს სს ინდუსტრიულ ფონითის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ სს ინდუსტრიულ ფონითი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს იმას, რომ ის განჭვრეტად მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას. ამ დაშვების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა. მან აგრეთვე გაანალიზა სს ინდუსტრიულ ფონითი ოპერაციებზე ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზემოქმედება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

სს ინდუსტრიულ ფონითი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და სხვა აქტივების სასარგებლო-მომსახურების ვადები

სს ინდუსტრიალ ფოინთი გადახედავს ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და სხვა აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში სააქციო საზოგადოებას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფები (მიწა და შენობა-ნაგებობები) აისახება გადაფასებული ღირებულებით, ხოლო საინვესტიციო ქონება ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ბოლო შეფასება ჩატარდა 2019 წლის 31 დეკემბერს. შეფასება ჩატარა დამოუკიდებელმა, შემფასებელმა. ხელმძღვანელობამ მჭიდროდ ითანამშრომლა დამოუკიდებელ კვალიფიციურ შემფასებლებთან შეფასების სათანადო ტექნიკის და მოდელში გამოსაყენებელი მონაცემების დასადგენად, მათი მართებულობისთვის და სიზუსტისთვის. შეფასება აუცილებელია ტარდებოდეს საკმარისი სიხშირით, რათა აქტივების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს მათი რეალური ღირებულებისაგან. ხელმძღვანელობა მუდმივად აკვირდება საბაზრო მონაცემებს და აანალიზებს ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას აქტივების რეალურ ღირებულებაში. ხელმძღვანელობის შეფასებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ღირებულებებში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

გადაფასების მოდელი

(მსს ფასს მოდული 17—ძირითადი საშუალებები 17.15ბ) ძირითადი საშუალება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, სს ინდუსტრიალ ფოინთმა უნდა ასახოს გადაფასებული ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლი იქნება), შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება საკმარისად რეგულარულად უნდა ტარდებოდეს, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. რეალური ღირებულების განსაზღვრის შესახებ მითითებები მოცემულია 11.27–11.32 პუნქტებში. როდესაც ძირითადი საშუალების რომელიმე ობიექტის გადაფასება ხდება, მთლიანად უნდა გადაფასდეს ძირითადი საშუალებების ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნება.

17.15გ თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და ეწოდოს „გადაფასების ნამეტი“.

17.15ბ პუნქტის შესაბამისად, გადაფასება საკმარისად რეგულარულად უნდა ტარდებოდეს, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. როდესაც პირველად ხდება ძირითადი საშუალების გადაფასება რეალური ღირებულებით და რეალური ღირებულება აღრინდელ საბალანსო ღირებულებაზე მაღალია, ნამეტი უნდა დაკრედიტდეს გადაფასების ნამეტის სახელწოდების ქვეშ. შემდგომი წლიური ცვეთა უფრო მაღალი იქნება, ვიდრე გადაფასების გარეშე იქნებოდა.

(მსს ფასს მოდული 17—ძირითადი საშუალებები მაგალითი 25)

იჯარა

სს ინდუსტრიალ ფოინთი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიქარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი/სააქციო საზოგადოება ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები. ჯგუფი/სააქციო საზოგადოება იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება

ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის მახასიათებლებით

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სს ინდუსტრიულ ფონდის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვარის დადგენის და კონტროლის მიზნით. ყველაწევრი ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებაში. ოპერაციებთან დაკავშირებული მთავარი რისკებია საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე, რისკი დაკავშირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია რისკების მიმოხილვა და მათ მართვასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის პოლიტიკა.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად სს ინდუსტრიულ ფონდით დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. სს ინდუსტრიულ ფონდით გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დეპოზიტები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	67599	46560
გაცემული სესხები	96627	40379
ფული და ფულის ეკვივალენტები	1160620	1256081
საინვესტიციო ქონება	459818	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
სულ ფინანსური აქტივები	1784664	1343020

	31/12/2023	31/12/2022
ფინანსური ვალდებულებები		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	91212	155738
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	131329	110496
სულ ფინანსური ვალდებულებები	222541	266234

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ სს ინდუსტრიულ ფოინთი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

სს ინდუსტრიულ ფოინთი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის- რისკის მართვის მიზნით, სს ინდუსტრიულ ფოინთი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

სს ინდუსტრიულ ფოინთი საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. სს ინდუსტრიულ ფოინთი მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს სს ინდუსტრიულ ფოინთის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

კაპიტალის მართვა

სს ინდუსტრიულ ფოინთი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავედროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სს ინდუსტრიულ ფოინთი

აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

სს ინდუსტრიულ ფონთის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. სს ინდუსტრიულ ფონთის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. სს ინდუსტრიულ ფონთის მენეჯმენტი დამატებით მიმოიხილავს რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენს ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას სს ინდუსტრიულ ფონთი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

5. შემოსავალი

სს ინდუსტრიულ ფონთის საქმიანობა არის - საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა (კოდი 68202) და ლითონის დასამუშავებელი მოწყობილობების წარმოება (კოდი 28410) შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი მომსახურების სახით;

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი გაყიდვის ხელშეკრულების სახით;

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები.

შემოსავალი 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	1807561	1496452
სხვა	29700	83000
სულ შემოსავალი	1837261	1579452

6. მომავალი საიჯარო გადასახდელები

მომავალი საიჯარო გადასახდელები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დაფიქსირებულია.

7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

სხვა ხარჯები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	-362147	-334626
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-302125	-324101
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-365149	-382086

სულ საოპერაციო ხარჯები	-1029421	-1040813
------------------------	----------	----------

8. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	31/12/2023	31/12/2022
ეფექტი ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე	51462	15964
ეფექტი ფინანსური ინსტრუმენტებზე	55324	58148
სულ საოპერაციო ხარჯები	106786	74112

9 . ფინანსური ხარჯი

	31/12/2023	31/12/2022
მიღებულ სესხებზე	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-58902	-96571
ფინანსური იჯარის ვალდებულებებზე	0	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-58902	-96571

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა - ნაებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საკუთარი ტერიტორიის კეთილმოწყობა	სულ
2021წლის 31 დეკემბერი	5602	1539837	934345	29429	293092	151610	2953915
2022 წლის 31 დეკემბერი	5602	1539837	923302	29429	293092	151610	2942872
2023 წლის 31 დეკემბერი	5602	1539837	945031	29429	353495	151610	3025004
დაგროვილი ცვეთა							-
2021წლის 31 დეკემბერი	0	935144	527610	13774	79987	133546	1690061
ცვეთა 2022 წლის განმავლობაში	0	76992	173717	5886	49353	18064	324012
2022 წლის 31 დეკემბერი ცვეთა 2023 წლის განმავლობაში	0	1012136	701327	19660	129340	151610	2014073
	0	73485	164994	7799	55847		302125
2023 წლის 31 დეკემბერი	0	1085621	866321	27459	185187	151610	2316198
2021წლის 31 დეკემბერი	5602	604693	406735	15655	213105	18064	1263854
2022 წლის 31 დეკემბერი	5602	527701	221975	9769	163752	0	928799
2023 წლის 31 დეკემბერი	5602	454216	78710	1970	168308	0	708806

11. საინვესტიციო ქონება

სს ინდუსტრიულ ფონთის საინვესტიციო ქონება აისახება მათი გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისთვის. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელიც არ არის დაკავშირებული სააქციო საზოგადოებასთან. შეფასება შეესაბამება შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს.

12. მარაგები

მარაგები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
საქონელი	0	0
ნედლეული და მასალები	7022	7022
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	351065	439530
სულ	358087	446552

13.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	67599	46560
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	96627	40379
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0
სულ	164226	86939

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
ფული ბანკში ლარი	837957	611193
ფული ბანკში ვალუტა	320641	643681
ფული სალაროში	2022	1207
სულ	1160620	1256081

15. სააქციო კაპიტალი

2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს ინდუსტრიულ ფონთი , ს/კ 200002914 სააქციო კაპიტალი შეადგენდა 308498 ლარს ნომინალური ღირებულებით.

სააქციო საზოგადოებას აქციონერთათვის დივიდენდები გაცემული აქვს:

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

31/12/2023 31/12/2022
-711299 -1000000

სულ საოპერაციო ხარჯები

-711299 -1000000

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31/12/2023	31/12/2022
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	91212	155738
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	773	6219
საგადასახადო ვალდებულებები	59069	37384
სხვა ვალდებულებები	131329	110496
გამომუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0
სულ ვალდებულებები	282383	309837

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამი თვემდე.

17. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
მიღებული ავანსები	72669	131873
სულ	72669	131873

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები -2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს ინდუსტრიულ ფოინთი არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, სს ინდუსტრიულ ფოინთის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, სს ინდუსტრიულ ფოინთის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და სს ინდუსტრიულ ფოინთი დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. სს ინდუსტრიულ ფოინთი მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ სს ინდუსტრიულ ფოინთი -სოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები განხილულია დაკავშირებულ მხარეებთან.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2023 წლის 30 მარტს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლენილა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც სს ინდუსტრიალ ფოინთი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც სს ინდუსტრიალ ფოინთი ს ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოსატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

სს ინდუსტრიულ ფონთი აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც სს ინდუსტრიულ ფონთი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, მისი ამონაგების წყაროა საიჯარო ფართების მოწყობა-გაქირავება, გაქირავებული ფართების მომსახურება; ლითონის მექანიკური გამუშავება, მანქანა დანადგარების წარმოება, გაშვება-გამართვის სამუსაოების შესრულება. სს ინდუსტრიულ ფონთი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;

- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება
- სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

სს ინდუსტრიულ ფონთი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა
შემოსავლები

სს ინდუსტრიულ ფონთის საქმიანობა არის - საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა (კოდი 68202) და ლითონის დასამუშავებელი მოწყობილობების წარმოება (კოდი 28410) შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი მომსახურების სახით;

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

სს ინდუსტრიულ ფონთის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. სს ინდუსტრიულ ფონთი მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

სს ინდუსტრიულ ფონთი შეფასებაში ასახავს ფასდათმობას, რომელსაც მომხმარებელი მიიღებს ოფციონის გამოყენებისას, რომელიც კორექტირდება შემდეგი ფაქტორის გათვალისწინებით: ა) ფასდათმობა, რომლის მიღებაც მომხმარებელს შეუძლია ოფციონის გამოყენების გარეშე; და ბ) ამ ოფციონის გამოყენების ალბათობა. ამასთანავე, როდესაც მომხმარებელს გააჩნია სამომავლო საქონლის ან მომსახურების შეძენის არსებითი უფლება და ეს საქონელი ან მომსახურება თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ან მომსახურების ანალოგიურია და მიწოდებაც ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხორციელდება, მაშინ სს ინდუსტრიულ ფონთი გარიგების ფასს ანაწილებს ოფციონით გათვალისწინებულ დამატებით საქონელზე ან მომსახურებაზე იმ საქონლის ან

მომსახურების მოცულობის საფუძველზე, რომლის მიწოდებასაც საწარმო ვარაუდობს, ასევე შესაბამისი მოსალოდნელი ანაზღაურების გათვალისწინებით.

გამოყენებული გათავისუფლება სს ინდუსტრიულ ფონდის გამოყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც სს ინდუსტრიულ ფონდით გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და სხვა აქტივების სასარგებლო-მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სს ინდუსტრიულ ფონდით გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში სს ინდუსტრიულ ფონდის არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გადაფასება

ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფები (მიწა და შენობა-ნაგებობები დაზგა) აისახება გადაფასებული ღირებულებით, ხოლო საინვესტიციო ქონება ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ბოლო შეფასება

ჩატარდა 2019 წლის 31 დეკემბერს. შეფასება ჩატარა დამოუკიდებელმა, შემფასებელმა. ხელმძღვანელობამ მჭიდროდ ითანამშრომლა დამოუკიდებელ კვალიფიციურ შემფასებლებთან შეფასების სათანადო ტექნიკის და მოდელში გამოსაყენებელი მონაცემების დასადგენად, მათი მართებულობისთვის და სიზუსტისთვის. შეფასება აუცილებელია ტარდებოდეს საკმარისი სიხშირით, რათა აქტივების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს მათი რეალური ღირებულებისაგან. ხელმძღვანელობა მუდმივად აკვირდება საბაზრო მონაცემებს და აანალიზებს ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას აქტივების რეალურ ღირებულებაში. ხელმძღვანელობის შეფასებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ღირებულებებში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

სს ინდუსტრიალ ფოინთი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

სს ინდუსტრიალ ფოინთი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე და აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასამართლო დავები

სს ინდუსტრიალ ფოინთი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხების შეფასებისას სს ინდუსტრიალ ფოინთი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

მიწა და შენობა-ნაგებობები, რომელთაც სს ინდუსტრიალ ფოინთი ფლობს საქონლის ან მომსახურების წარმოების ან მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით, ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც უდრის რეალურ ღირებულებას გადაფასების დღეს, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გადაფასება ხდება და, შედეგად, საბალანსო ღირებულებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ ღირებულებებისგან, რაც თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულებების გამოყენებით უნდა აღრიცხულიყო. ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასებით წარმოქმნილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალში, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ ის აუქმებს იმავე აქტივზე მანამდე მოგებაში ან ზარალში აღიარებულ გაუფასურების ზარალს, რა დროსაც მოგებაში ან ზარალში ირიცხება მანამდე ხარჯად აღიარებული გაუფასურების ზარალის ტოლი ზრდა.

ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად წარმოშობილი გადაფასების ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება, თუ ის აჭარბებს აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებულ გადაფასების რეზერვში არსებულ ნაშთს. საწარმოო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მიმდინარე მშენებლობები აღირიცხება თვითღირებულებით, აღიარებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ქონება ძირითადი საშუალებების შესაბამის კატეგორიებში კლასიფიცირდება დასრულებისა და დაგეგმილი მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები მზადაა დაგეგმილი მოხმარებისათვის. გადაფასებულ შენობა-ნაგებობებზე დარიცხული ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გადაფასებული აქტივის შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემდეგ. გადაფასების შესაბამისი მეტობა, რომელიც რჩება ქონების გადაფასების რეზერვში, პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში გადადის. ცვეთის აღიარებისას აქტივების თვითღირებულების ან შეფასებული ღირებულებისა და მათი ნარჩენი ღირებულების სხვაობა ჩამოიწერება (ეს არ ეხება მიწასა და მიმდინარე მშენებლობებს) სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადრისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

• შენობები	20 წელი
• ავტომობილები	5 წელი
• უძრავი ინვენტარი და მოწყობილობები	5 წელი
• კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა	5 წელი
• ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და დანარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც სს ინდუსტრიულ ფონთი ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. თავდაპირველად საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით. გარიგების დანახარჯების გათვალისწინებით. სს ინდუსტრიულ ფონთი საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასებისთვის იყენებს სამართლიანი ღირებულების მოდელს. საინვესტიციო ქონებას ჯგუფი აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება იმ დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშებზე დაყრდნობით, რომლებიც ფლობენ აღიარებულ და შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას და აქვთ მსგავსი ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში, როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სს ინდუსტრიულ ფონთი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, სს ინდუსტრიულ ფონთი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში, მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის ინდივიდუალური დანახარჯებით. სხვა მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სს ინდუსტრიულ ფოინთი წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ სს ინდუსტრიულ ფოინთი მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. სს ინდუსტრიულ ფოინთის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება სს ინდუსტრიულ ფოინთის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის

საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები) ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. სს ინდუსტრიალ ფოინთი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. სს ინდუსტრიალ ფოინთი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სს ინდუსტრიალ ფოინთი სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას. ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო დეპოზიტებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღაღლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, სს ინდუსტრიალ ფოინთი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სს ინდუსტრიალ ფოინთი ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

სს ინდუსტრიალ ფოინთი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთიანთვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და სს ინდუსტრიალ ფოინთი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

სესხები

სააქციო საზოგადოებას აქვს მიმდინარე სასესხო ვალდებულებები, სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. სააქციო საზოგადოებას ყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

საკუთარი კაპიტალი

სს ინდუსტრიალ ფონდის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

ღივიდენდები

ღივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. ღივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული ღივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

სს ინდუსთრიალ ფონდით

ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1160620	1256081	1534765
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	67599	46560	24119
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაყვნილი ფულადი სახსრები	96627	40379	184459
მარაგები	358087	446552	244787
შპს პროდუქცია	7022	7022	7022
სხვა	351065	439530	237765
საინვესტიციო ქონება	459818	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5475	6037	6037
ძირითადი საშუალებები	249081	928802	1264036
სხვა გრძელვადიანი აქტივები	353152	0	0
ბუღალტრული	2750459	2724411	3258203

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	91212	155738	34054
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	773	6219	2569
საგადასახადო ვალდებულებები	59069	37384	190138
სხვა ვალდებულებები	131329	110496	73845
სულ ვალდებულებები	282383	309837	300606
საკუთარი კაპიტალი			
საქმიანო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
გამოსყიდული საკუთარი აქციები	308498	308498	308498
გაუნაწილებელი მოგება / (დაკრედიტებული ზარალი)	-3786	-3786	-3786
გადაფასების რეზერვი	764857	515266	1196236
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1398507	1398507	1456649
სულ საკუთარი კაპიტალი	0	196089	0
ბუღალტრული კაპიტალი და ვალდებულებები	2468076	2414574	2957597
	2750459	2724411	3258203

გენერალური დირექტორი კობა მოსიძე 3/5 01029004849



სს ინდუსტრიულ ფონდთი

ინდივიდუალური ანგარიშგება სრული შემოსავლის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)
საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
წეტო ამონაგები	1837261	1579452
მომსახურების გაწევიდან	1807561	1496452
სხვა		
საერთო მოცუბა	29700	83000
	1837261	1579452
დასაქმებულთა ანაზღაურება		
ცვუთა / ამორტიზაციის ხარჯი	-362147	-334626
საპროცენტო შემოსავალი	-302125	-324101
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	51462	15964
ხულ საოპერაციო ხარჯები	-365149	-382086
საოპერაციო მოგება	-977959	-1024849
	859302	554603
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-58902	-96571
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	55324	58148
მოგების გადასახადის ხარჯი	855724	516180
საანგარიშგებო პერიოდის მოცუბა / ზარალი	-90923	-971
	764801	515209
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	764801	515209
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2414574	2957597
განაწილება შესაკუთრებებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-711299	-1000000
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-90
საპუტარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	0	-58142
	2468076	2414574

გენერალური დირექტორი კობა მოხიძე 3/6 01029004849



სს ინდუსტრიულ ფონდთი

ინდივიდუალური ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)
წმინდა ფულადი ნაკადები
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში
გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

31/12/2023	31/12/2022
2300134	186612
-2395595	-465296
-95461	-278684
<u>1256081</u>	<u>1534765</u>
<u>1160620</u>	<u>1256081</u>

გენერალური დირექტორი კობა მოსიძე 3/6 01029004849



სს ინდუსტრიულ ფონთი
ინდივიდუალურ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საკუთარი კაპიტალი

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სააქციო კაპიტალი (მპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	308498	308498	308498
გაბიჯილი საკუთარი აქციები	-3786	-3786	-3786
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	764857	515266	1196236
გადაფასების რეზერვი	1398507	1398507	1456649
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	196089	0
მთლიან საკუთარი კაპიტალი	2468076	2414574	2957597

გენერალური დირექტორი კობა მოსიძე პ/5 01029004849



